2016 წელი

1. **ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონული წარმომადგენელი იმერეთის მხარეში:** ორგანიზაციამ განახორციელა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები, როგორც საზოგადოებრივ და მედია ორგანიზაციებთან, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

2. **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“:** პროექტის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის საფუძველზეც ჩატარდა 2 ორგანიზაციაში – პირდაპირი ინტერვიუ და 3 ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ 5 (ქუთაისი, ბაღდათი, ზესტაფონი), ჯამში გამოიკითხა 18 რესპოდენტი (შშმ პირი).

3. **„მიიღე მონაწილეობა მართვაში“** - პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა იმერეთის მხარეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების, ბიზნეს სექტორის, უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ის ქმედითი მექანიზმები, რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული სრულიად ახალი XI თავის «მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები» პრაქტიკაში ეფექტურ იმპლემენტაციას. მომზადდა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ სახელმძღვანელო, სადაც გაწერილი იქნა ყველა ის ტექნიკური დეტალი და სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში იმპლემენტირებისათვის.

4. **„ახალგაზრდები ევროპისათვის“** - პროექტის ფარგლებში, ქუთაისში მცხოვრებმა 20-მა ახალგაზრდამ გაიარა სამ თვიანი ტრენინგები ევროკავშირის, ევროპის ღირებულებების და საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ, ხოლო შემდგომ ესტუმრნენ ქ.სტრასბურს 4 დღიანი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში.

5. **„იცოდე მეტი არჩევნების შესახებ“** - პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე საარჩევნო კანონდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა ინფორმირებული არჩევანი გაკეთებინა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე და მოეხდინა დარღვევების თავიდან აცილება და პრევენცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტენსიური გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან იმერეთის მხარის 12 მუნიციპალიტეტში, სულ ჩატარდა 236 შეხვედრა, ესწრებოდა 3483 ადამინი.

6. **„ქუთაისი ეს მუშაობს“** - ჩატარდა ტრენინგი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის. პროქტის მეორე ეტაპზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრებისთვის ჩატარდა 2 (ორი) დღიანი ტრენინგი. ტრენინგის მიზანი იყო საბჭოს წევრების ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, უფლებამოსილებების, მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, მათ მიეწოდათ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესზე, ბიუჯეტის ტიპებზე და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.
7. **იმერი – „იმერეთის მუნიციპალიტეტების ერთობლივი ინიციატივა“** - გადამზადდა 179 მოქალაქე და მათთვის ცნობილია ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადვოკატირების მექანიზმების შესახებ, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის გამგებელი და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ასევე გადამზადდა პიარ ტექნოლოგიების საკითხებში, შერჩეული 10 დასახლებიდან 7 დასახლებაში წარმატებით დასრულდა საადვოკაციო საქმიანობა და გადაიჭრა მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა, მათ შორის ისეთი მასშტაბური პრობლემაც კი როგორიც იყო პატარა სახულარის ელექტრო გამრიცხველიანება.